საკლასო აქტივობა მოსწავლეებისთვის

კლასი: მე-3

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები.

თემა: რიცხვების შედარება.

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სამნიშნა რიცხვების შედარება პოზიციური სისტემის საშუალებით, დალაგება ზრდადობით და კლებადობით.

<u>აქტივობის პირველი ეტაპი</u>

მასწავლებელი დაფასთან გამოიყვანს სამ მოსწავლეს, პირობითად, ნინოს, სალომეს და დიტოს. ნინოს დააყენებს მარცხნიდან პირველს. მას თავზე დაადებს გვირგვინს წარწერით "ასეულები". ხელში დააჭერინებს ყვითელ ბარათს, რომელსაც უკანა მხარეს (რომელსაც კლასში მსხდომი მოსწავლეები ვერ ხედავენ) ეწერება რიცხვი 7. ნინოს ბარათს წინა მხარეს მიკრული ექნება სურათი, რომელზეც 100 კუბია გამოსახული. სალომეს დააყენებს შუაში, თავზე დაადებს გვირგვინს წარწერით "ათეულები". ხელში დააჭერინებს ყვითელ ბარათს, რომელსაც უკანა მხარეს ეწერება რიცხვი 5. სალომეს ბარათს წინა მხარეს მიკრული ექნება სურათი, რომელზეც 10 კუბია გამოსახული. ბოლო იდგება დიტო. მას მასწავლებელი თავზე დაადებს გვირგვინს წარწერით "ერთეულები". ხელში დააჭერინებს ყვითელ ბარათს, რომელსაც უკანა მხარეს ეწერება რიცხვი 8, წინა მხარეს კი მიკრული ექნება სურათი, რომელზეც 1 კუბია გამოსახული. (სურ. 1). მასწავლებელი მოსწავლეებს ეტყვის, რომ ნინოს, სალომეს და დიტოს ბარათებზე წერია ერთნიშნა რიცხვები. რიცხვი, რომელიც წერია ნინოს ბარათზე, აღნიშნავს სათანრიგო ერთეულების რაოდენობას ასეულების თანრიგში. რიცხვი, რომელიც წერია სალომეს ბარათზე, აღნიშნავს სათანრიგო ერთეულების რაოდენობას ათეულების თანრიგში, ხოლო რიცხვი, რომელიც წერია დიტოს ბარათზე, აღნიშნავს სათანრიგო ერთეულების რაოდენობას ერთეულების თანრიგში.



შენიშვნა: ბარათებს უკანა მხარეს დაკრული აქვს სკოჩი, რომელზეც დაფის მარკერით რიცხვების დაწერა და შემდეგ მათი წაშლა ძალიან მარტივია. ბარათების და გვირგვინების დამზადების პროცესი იხილეთ ვიდეოში, რომელიც თან ახლავს გზამკვლევს.

მასწავლებელი დაფასთან გამოიყვანს სხვა სამ მოსწავლეს, პირობითად, გიას, ლიას და ოთოს. მათ ხელში დააჭერინებს ბარათებს, რომლებზეც წერია რიცხვები 8, 0 და 2 (გია - 8, ლია - 0, ოთო - 2).



ამის შემდეგ მასწავლებელი ნინოს, სალომეს და დიტოს სთხოვს შემოაბრუნონ ბარათები (სურ. 3).



მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

_ ბავშვებო, რა სამნიშნა რიცხვი მივიღეთ ნინოს, სალომეს და დიტოს ბარათებზე დაწერილი ციფრებით? რამდენი ასეულია ასეულების თანრიგში? რამდენი ათეულია ათეულების თანრიგში? რამდენი ერთეულია ერთეულების თანრიგში?

ამის შემდეგ მასწავლებელი გიას, ლიას და ოთოს სთხოვს შემოაბრუნონ ბარათები (სურ. 4).



მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

_ ბავშვებო, რა სამნიშნა რიცხვი მივიღეთ გიას, ლიას და ოთოს ბარათებზე დაწერილი ციფრებით? რამდენი ასეულია ასეულების თანრიგში? რამდენი ათეულია ათეულების თანრიგში? რამდენი ერთეულია ერთეულების თანრიგში? რომელი სამნიშნა რიცხვი უფრო მეტია, ნინოს, სალომეს და დიტოს ბარათებით შედგენილი, თუ გიას, ლიას და ოთოს ბარათებით შედგენილი? რატომ ფიქრობთ ასე?

რეკომენდაცია: მასწავლებელმა მოსწავლეებს ანალოგიურად უნდა შეადარებინოს სხვადასხვა რიცხვები. მაგალითად: 1) ნულების შემცველი რიცხვები; 2) რიცხვები, რომელთა მხოლოდ ასეულების თანრიგში მდგომი რიცხვებია ტოლი; 3) რიცხვები, რომელთა მხოლოდ ერთეულების თანრიგში მდგომი რიცხვებია განსხვავებული. ასევე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეადარებინოს ორი ისეთი რიცხვი, რომელთაგან ერთ-ერთის ასეულების თანრიგში მდგომი რიცხვი მეტია, მეორე რიცხვის ასეულების თანრიგში მდგომ რიცხვზე, მაგრამ ამავე რიცხვის ათეულების თანრიგში მდგომი რიცხვი გაცილებით ნაკლებია, მეორე რიცხვის ათეულების თანრიგში მდგომ რიცხვზე (მაგ.: 392 და 512). თუ კლასი თავს კარგად ართმევს აღნიშნულ დავალებებს, თითო-თითო განსხვავებული მაგალითის განხილვა საკმარისი იქნება.

თითოეულ შემთხვევაში, მასწავლებლის ფასილიტაციით, უნდა მოხდეს იმის შეხსენება, რომ ორ სამნიშნა რიცხვს შორის ის არის მეტი, რომლის ასეულების თანრიგში

მდგომი რიცხვიც მეტია. თუ ასეულების თანრიგში მდგომი რიცხვები ტოლია, მაშინ ის სამნიშნა რიცხვია მეტი, რომლის ათეულების თანრიგში მდგომი რიცხვიც მეტია. ხოლო, თუ ასეულების და ათეულების თანრიგებში მდგომი რიცხვები ტოლია, მაშინ ის სამნიშნა რიცხვია მეტი, რომლის ერთეულების თანრიგში მდგომი რიცხვიც მეტია.

<u>**აქტივობის მეორე ეტაპი**</u>

მასწავლებელი დაფასთან გამოიყვანს 6 მოსწავლეს. მათ ბარათებზე დააწერს რიცხვებს 2, 3, 4, 5, 6, და 8 (თეა - 5; მაია - 2; დათო - 6; ლევანი - 4; სოფო - 3; კახა - 8). იგი სთხოვს ბავშვებს ბარათები ისე დაიჭირონ, რომ კლასში მსხდომი მოსწავლეები ვერ ხედავდნენ რიცხვებს (სურ. 5).



სურათი 5

მასწავლებელი დათოს და კახას სთხოვს შემოაბრუნონ ბარათები (სურ. 6).



სურათი 6

მასწავლებელი დასვამს კითხვებს: _ ბავშვებო, როგორ ფიქრობთ, ყვითელი ბარათებით შედგენილი სამნიშნა რიცხვი უფრო მეტი იქნება, თუ მწვანე ბარათებით შედგენილი სამნიშნა რიცხვი? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი სთხოვს მაიას და სოფოს შემოაბრუნონ ბარათები (სურ. 7).



სურათი 7

მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

_ მაიას რიცხვი რამდენ ათეულს გვიჩვენებს? სოფოს რიცხვი რამდენ ათეულს გვიჩვენებს? რომელია მეტი? როგორ ფიქრობთ, ყვითელი ბარათებით შედგენილი სამნიშნა რიცხვი უფრო მეტი იქნება, თუ მწვანე ბარათებით შედგენილი სამნიშნა რიცხვი? რატომ ფიქრობთ ასე?

ბოლოს მასწავლებელი სთხოვს თეას და ლევანს შემოაბრუნონ ბარათები (სურ. 8)



სურათი 8

მასწავლებელი დასვამს კითხვებს: – თეას რიცხვი რამდენ ასეულს გვიჩვენებს? ლევანის რიცხვი რამდენ ასეულს გვიჩვენებს? რომელია მეტი? ყვითელი ბარათებით შედგენილი სამნიშნა რიცხვი მეტია, თუ მწვანე ბარათებით შედგენილი სამნიშა რიცხვი?

რეკომენდაცია: მასწავლებელმა მოსწავლეებს ანალოგიურად უნდა შეადარებინოს სხვადასხვა რიცხვები. მაგალითად ისეთები, რომელთა მხოლოდ ასეულების თანრიგში მდგომი რიცხვებია ტოლი და ასევე ისეთი რიცხვები, რომელთა მხოლოდ ერთეულების თანრიგში მდგომი რიცხვებია განსხვავებული.

მასწავლებელმა ასევე უნდა განიხილოს ბარათების შემობრუნების თანმიმდევრობის სხვადასხვა ვარიანტები (სურ. 9).

ვარიანტი 1: თავდაპირველად ბარათებს აბრუნებენ ბავშვები N2, შემდეგ _ N3 და ბოლოს ბავშვები N1.

ვარიანტი 2: თავდაპირველად ბარათებს აბრუნებენ ბავშვები N2, შემდეგ _ N1 და ბოლოს ბავშვები N3.

ვარიანტი 3: თავდაპირველად ბარათებს ერთდროულად აბრუნებენ ბავშვები N1 და N3, შემდეგ ბავშვები N2.

ვარიანტი 4: თავდაპირველად ბარათებს ერთდროულად აბრუნებენ ბავშვები N2 და N3, შემდეგ ბავშვები N1.



სურათი 9

<u>აქტივობის მესამე ეტაპი</u>

მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად (ჯგუფში უნდა იყოს სულ მცირე 5 მოსწავლე). იგი დაფასთან გამოიყვანს ერთ-ერთი ჯგუფის სამ წევრს. თითოეულს თავზე დაადებს გვირგვინს, ხელში კი დააჭერინებს ბარათებს. დაფის მარცხენა და მარჯვენა მხარეს დაწერს რიცხვებს (სურ. 10).



სურათი 10

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

_ ბავშვებო, დააკვირდით დაფაზე დაწერილ სამნიშნა რიცხვებს, და ასევე დააკვირდით ბავშვების მიერ შედგენილ სამნიშნა რიცხვს. როგორ არის ეს რიცხვები დალაგებული ზრდადობით, თუ კლებადობით?

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე და ბარათებზე დაწერს სხვა რიცხვებს. ბარათებს ისე დააჭერინებს ბავშვებს, რომ არ ჩანდეს რიცხვები (სურ. 11). კესოს ბარათზე ეწერება რიცხვი 7, ტასოს ბარათზე _ რიცხვი 3, ხოლო ლადოს ბარათზე _ რიცხვი 5.



სურათი 11

მასწავლებელი მიმართავს დაფასთან მდგომი ბავშვების გუნდის წევრებს:

_ ბავშვებო, როგორც ხედავთ მე შევცვალე რიცხვები, თუმცა ისინი ისევ ზრდადობით არის დალაგებული. როგორ ფიქრობთ რა რიცხვი წერია კესოს ბარათზე? ჯგუფის წევრები დაასახელებენ რიცხვს. კესო შემოაბრუნებს ბარათს (სურ. 12).



სურათი 12

მითითება: სასურველია მასწავლებელმა სხვა ჯგუფის წევრებს დაუსვას შეკითხვები:

_ რატომ არ შეიძლება კესოს ხელში სჭეროდა რიცხვი 5? რიცხვი 6? რიცხვი 8? რიცხვი 9?

მასწავლებელი ისევ მიმართავს დაფასთან მდგომი ბავშვების გუნდის წევრებს:

_ ბავშვებო, როგორ ფიქრობთ, რა რიცხვი წერია ტასოს ბარათზე? ჯგუფის წევრები დაასახელებენ რიცხვს. ტასო შემოაბრუნებს ბარათს (სურ. 13).



სურათი 13

მითითება: სასურველია, მასწავლებელმა სხვა ჯგუფის წევრებს დაუსვას შეკითხვები:

_ რატომ არ შეიძლება ტასოს ხელში სჭეროდა რიცხვი 1? რიცხვი 2? რიცხვი 4? რიცხვი 5?

მასწავლებელი ისევ მიმართავს დაფასთან მდგომი ბავშვების გუნდის წევრებს:

_ ბავშვებო, როგორ ფიქრობთ, რა რიცხვი შეიძლება ეწეროს ლადოს ბარათზე? დაასახელეთ ყველა შესაძლო ვარიანტი. ჯგუფის წევრები დაასახელებენ რიცხვებს. ლადო შემოაბრუნებს ბარათს (სურ. 14).



სურათი 14

მითითება: სასურველია მასწავლებელმა სხვა ჯგუფის წევრებს დაუსვას შეკითხვები:

_ რატომ არ შეიძლება ლადოს ხელში სჭეროდა რიცხვი 0? რიცხვი 1? რიცხვი 8? რიცხვი 9?

აღნიშნული აქტივობა მასწავლებელმა უნდა გაიმეოროს სხვა ჯგუფებთან. მან ასევე უნდა განიხილოს ის შემთხვევები, როცა რიცხვები დალაგებული იქნება კლებადობით.

მითითება: გამოჭერით მართკუთხედები და გადააბით ერთმანეთზე ისე, რომ მიიღოთ გვირგვინები წარწერით: ასეულები, ათეულ

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
RTI INTERNATIONAL
USAID BASIC EDUCATION PROGRAM

ასეულ

ლები

ათეულ

ლები

ერთეულები

მითითება: გამოჭერით.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE
RTI INTERNATIONAL
USAID BASIC EDUCATION PROGRAM